ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოს საჯარო სამსახურში 2004-2012 წლებში განხორციელებული ცვლილებების მაგალითზე

მეგი ქორჩაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა ჟვანია, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

საქართველომ, როგორც განვითარებადმა ქვეყანამ, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განახორციელა მრავალი რეფორმა, როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესს და განხილულია საქართველოს საჯარო სამსახურში 2004-2012 წლებში განხორციელებული ცვლილებების მაგალითზე.

ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებულია 2004-2012 წლებში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებული ემპირიული მასალა და მოკლედ არის განხილული ინსტიტუტებისა და ინსტიტუციური ცვლილებების ძირითადი კონცეფციები, სხვადასხვა მეცნიერთა თეორიები და მოსაზრებები სოციალური ცვლილებების პროცესის თანმდევი ტენდენციებისა და მახასიათებლების მიხედვით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ რეფორმათა შედეგების შესახებ არაერთი შეფასება არსებობს, თუმცა ნაშრომის მიზანს, საქართველოს საჯარო სამსახურში განხორციელებული ცვლილებების არა შედეგი, არამედ თავად ამ პროცესის შესწავლა და გაანალიზება წარმოადგენს. მიღებული შედეგების საფუძველზე, კი იმ სირთულეების და წინააღმდეგობების იდენტიფიცირება, რაც ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა საჯარო სამსახურში ცვლილებების განხორცილებისას.

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ნაშრომი მოიცავს ემპირიულ მონაცემებს, თვისებრივი კვლევის, კერძოდ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო სივრცეში არსებული მასალის, ექსპერტული ინტერვიუების და საჯარო სამსახურის თანამშრომელთა (რომლებიც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მუშაობდნენ საჯარო სამსახურში) ინტერვიუების სახით, რის მიხედვითაც გაანალიზებულია საქართველოს საჯარო სამსახურში განხორციელებული ცვლილებებისათვის დამახასიათებელი სირთულეები და თავისებურებები, ასევე გამომწვევი მიზეზები და ის პრობლემები, რის წინაშეც დგას საჯარო სამსახური.